შპს ევროპის უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

EU 00124614

16/08/2022

შპს ევროპის უნივერსიტეტში
2022–2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის
შიდა მობილობის ვადების და დავაკანტური ადგილების
განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის №10-ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №94 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-15 მუხლის, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის იოსებ კელენჯერიძის 2022 წლის 16 აგვისტოს (რეგისტრაციის N 124555), მედიცინის ფაკულტეტის დეკანის ნათია ჯოჯუას 2022 წლის 15 აგვისტოს (რეგისტრაციის № 124551) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2022 – 2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შიდა მობილობა შპს ევროპის უნივერსიტეტის საბაკალავრო და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე (სტუდენტთა განცხადებების წარმოდგენა) 2022 წლის 1 სექტემბრიდან - 8 სექტემბრის ჩათვლით;
2. განისაზღვროს შიდა მობილობის წესით დარეგისტრირებული სტუდენტების კრედიტების აღიარების ვადად საბაკალავრო და ერთსაფეხურიან საგანამანათლებლო პროგრამებზე არაუგვიანეს 2022 წლის 13 სექტემბრისა;
3. განისაზღვროს შიდა მობილობის წესით სტუდენტების მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად არაუგვიანეს 2022 წლის 15 სექტემბრისა;
4. შპს ევროპის უნივერსიტეტში შიდა მობილობით მისაღებ სტუდენტთა ვაკანტური ადგილების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი №1 - ის შესაბამისად;

5. განისაზღვროს რექტორის სამართლებრივი აქტის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის მიწოდების ვადად არაუგვიანეს 2022 წლის 29 სექტემბრისა.
6. მედიცინის ფაკულტეტზე შიდა მობილობით გადასული სტუდენტებისთვის აკადემიური რგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2022 წლის 5-11 ოქტომბერი;
7. მედიცინის ფაკულტეტზე დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობით გადასული სტუდენტებისთვის წლიური სწავლის საფასური განისაზღვროს 5000 დოლარით (ექვივალენტი ლარში), სტომატოლოგის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე 4000 დოლარით (ექვივალენტი ლარში), დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვან ერთსაფეხურიან საგანამანათლებლო პროგრამაზე 4500 ლარით, სტომატოლოგიის ქართულენოვან ერთსაფეხურიან საგანამანათლებლო პროგრამაზე 3500 ლარით, ხოლო, ერთი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან მეორე საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობით გადასული სტუდენტებისთვის სწავლის საფასური განისაზღვროს მათთან გაფორმებული საგანმანათლებლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების ოდენობით.
8. დაევალოს კონტროლი ბრძანების შესრულებაზე შესაბამის ფაკულტეტების დეკანებს.
9. დაევალოს ინფორმაციის განთავსება უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს.
10. დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს კანონმდებლობის შესაბამისად დაინტერესებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა.
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ევროპის უნივერსიტეტი
რექტორი
ტალიაშვილი ნინო

ნ. ტალიაშვილი